

ქესტური ენის როლი სმენადაქვეითებულ მოსწავლეთა აკადემიურ
მოსწრებაში

ეკატერინე დოლიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭებისთვის*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.



ილიას
სახელმწიფო
უნივერსიტეტი

თბილისი, 2016 წელი

სარჩევი

შესავალი	5
ლიტერატურის მიმოხილვა.....	5
1. სმენის როლი ადამიანის განვითარებაში.....	6
1.1. სმენის დაქვეითების შედეგები	7
2. ჟესტური ენის მნიშვნელობა.....	7
2.1 ჟესტური ენის განმარტება.....	8
2.2 ჟესტური ენის ჩამოყალიბების ისტორია	9
2.3 ლ.ვიგოცკის ხედვა ჟესტურ ენასთან მიმართებაში.....	11
3. ენასთან წვდომა სოციოლინგვისტური კუთხით.....	12
3.1 ენის ათვისების კანონზომიერებები ლინგვისტურ უმცირესობებში.....	13
4. ადრეული ინტერვენციის და ოჯახის როლი განვითარებაში.....	15
4.1 მშობლის კომუნიკაციური უნარების მნიშვნელობა	16
4.2 მშობლის სკოლაში ჩართულობის როლი.....	18
5. სმენადაქვეითებულთა ზოგადი აკადემიური მონაცემები მსოფლიოში	18
6. კვლევის მიზანი, ჰიპოთეზა და დიზაინი.....	25
6.1 კვლევის მეთოდი, შერჩევა და ინსტრუმენტები	26
6. 2 პროცედურა.....	25
6.3 მონაცემების დამუშავება და შედეგების ანალიზი	27
დასკვნა.....	32
გამოყენებული ლიტერატურა -----	34
დანართი-----	37

აბსტრაქტი

ყრუ და სმენადაქვეითებულ პირთა განათლება აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით. სმენასთან დაკავშირებული პრობლემები უარყოფითად აისახება მეტყველებასა და ენის ცოდნაზე, ბავშვის სოციალურ-ემოციურ განვითარებასა და სკოლაში სწავლის უნარებზე. სმენის დაქვეითების ხარისხის გარდა ენის ათვისების, ინფორმაციის მიღების და ზოგადად განათლების მიღების პროცესში ბევრი სხვა ფაქტორიც მოქმედებს, მაგალითად, ასეთი ფაქტორებია დაავადების დაწყების ასაკი, სმენის დაქვეითების ზღვრული კონფიგურაცია, მეტყველების აღქმის ზედა ზღვარი, ზოგადი გონიერება, ქესტურური ენის ფლობის დონე და განსაკუთრებით, ოჯახის მხარდაჭერის ხარისხი. აქედან გამომდინარე, სმენის დაქვეითების მსგავსი პროფილის სხვადასხვა ბავშვს შეიძლება დასჭირდეს სწავლების სხვადასხვა მეთოდი, ინტერვენციის სხვადასხვა სტრატეგიები და საგანმანათლებლო პირობები, რაც აისახება შესაბამის აკადემიურ მოსწრებაში (ბეთშოუ, 2013)

ნაშრომში მოცემული კვლევა მიზნად ისახავდა სმენის სხვადასხვა ხარისხის დაქვეითების მქონე მოსწავლეთა ქესტური ენის ფლობისა და მათი აკადემიური მოსწრების ურთიერთდამოკიდებულების დადგენას.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 10 დან 19 წლამდე ასაკის ორმოცდაათმა მოზარდმა, რომელთაგან 25-ს აღნიშნებოდა სმენის მკვეთრი მემკვიდრეობითი (ერთი ან ორივე მშობელი) დაქვეითება - ანუ სმენის დაქვეითების მაჩვენებელი სმენადობის დიაპაზონის 70 დეციბელზე მეტია (Clark, 1981) ასევე კვლევის მონაწილეთა აღნიშნულ ჯგუფში სმენის დაქვეითება მოზარდის ერთადერთი შეზღუდული შესაძლებლობაა. საკონტროლო ჯგუფში კვლევის მონაწილეთა რაოდენობა ასევე შეადგენდა 25-ს, ხოლო ასაკი 10 დან 19 წლამდე. აღნიშნული ჯგუფის ყველა წევრს აქვს ჯანსაღი სმენა.

კვლევაში გამოყენებულ იქნა:

1. ვექსლერის არავერბალური ინტელექტის სკალა (WECHSLER NONVERBAL SCALE OF ABILITY, 2006)
2. აკადემიური მოსწრებისა და ქესტური ენის ფლობის შეფასების კითხვარი

კვლევის შედეგად გამოვლინდა დადებითი კორელაცია ინტელექტის მაჩვენებლის, აკადემიური მოსწრების და ქესტური ენის ფლობის შედეგებს შორის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქესტური ენა, სმენის დაქვეითება, აკადემიური მოსწრება